

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #42

ქ. თბილისი

2023 წელი, 18 დეკემბერი, 12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ზურაბ აბაშიძე, ნიკოლოზ კახეთელიძე, ოთარ გრიგოლია, გივი ჩხარტიშვილი, ლილე ლიპარტელიანი, საბა ბუაძე, ნინო წულაძე, ანა გოგოლაძე

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: კონსტანტინე ზარნაძე, მამუკა გუგუშაშვილი, ზაზა თავაძე

სხდომის თავმჯდომარე: რევაზ სოხაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

გაიოზ თალაკვაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

ნინო ბაგაშვილი - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

ოთარ ჩიტბე - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

ლევან ჟორჯოლიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

№	საკითხის დასახელება
1.	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ* ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (საკრებულოს №12-032334971-03- 15.12.2023)
2.	"კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნიკო მუსხელიშვილის ქუჩა N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.10.001.188, ფართობი - 1 518 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" (საკრებულოს №12-032334890-03- 14.12.2023)

3.	„კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N63-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.20.004.032, ფართობი - 867 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032334891-03- 14.12.2023)
4.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ე. ზეჟანიშვილის ქუჩა N13-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.12.12.005.015, ფართობი - 896 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-03233208-03-16.11.2023)
5.	„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032332829-03- 24.11.2023; 12-032334172-03-07.12.2023; 12-03233482-03- 14.12.2023; 12-032334913-03-15.12.2023)
6.	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032334950-03-15.12.2023)
7.	ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში; ქალაქ თბილისში, სოფელი დიდმის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.004.039; N01.72.14.004.037; N01.72.14.094.499; N01.72.14.004.040; N01.72.14.053.413; N01.72.14.004.256) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032333116-03- 27.11.2023)
8.	ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირი, N32გ; ვაშლოჯვრის დასახლება, გელოვანის ქუჩა №6 და №6-ის მიმდებარედ; გელოვანის ქუჩა N6, ნაკვეთი №01.10.10.022.019-ის მიმდებარედ; ვაშლოჯვრის დასახლება, ნაკვეთი №002/009-ის მიმდებარედ; ცილა გაბაშვილის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.10.10.022.331) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032333245-03- 28.11.2023)
9.	ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.02.11.765) სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032334912-03-15.12.2023)

10.	ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N72.16.21.665; N72.16.17.654; N72.16.21.662; N72.16.21.023; N72.16.21.024; N72.16.21.663; N72.16.21.664; N72.16.17.655; N01.72.16.096.002) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032334934-03- 15.12.2023)
11.	„ქალაქ თბილისში, სოფელი ტაბახმელა; ქალაქი თბილისი, სოფელი ტაბახმელა, თბილისი-კოჯორის გზატკეცილი N129, N131, N133-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.02.03.583; N81.02.03.578; N81.02.03.577; N81.02.03.582; N81.02.03.575; N81.02.03.943) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032334935-03- 15.12.2023)
12.	„ქალაქ თბილისში, მეტროსადგურ „ვარკეთილის“ მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.36.003.109) სავაჭრო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის N281 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032334937-03-15.12.2023)
13.	„ქალაქ თბილისში, დიღმის სასწ. საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.556) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032334940-03- 15.12.2023)
14.	„ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისზე; ქალაქ თბილისში, ლეო კვაჭაძის I ჩიხი, N4ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.21.856, N72.16.21.903, N72.16.21.035, N72.16.21.904, N72.16.21.897, N72.16.21.896, N72.16.21.002, N72.16.21.001, N72.16.21.857) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 ნოემბრის N569 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032334939-03- 15.12.2023)
15.	„ქალაქ თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, მე-13 კმ-ზე (ნაკვ.14/579); ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.72.14.014.835; №01.72.14.014.843; №01.72.14.014.579; №01.72.14.014.380) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს №389 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032334938-03-15.12.2023)

16.	ქალაქ თბილისში, სოფელი წავეისი, მარიჯანის ქუჩა, N26-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდები: №81.02.12.996) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032334967-03-15.12.2023)
17.	„ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩაზე; ქინძმარაულის ქუჩა N37-ში; რქაწითელის ქუჩა N9, N11, N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.33.015.120; N01.19.33.015.050; N01.19.33.015.131; N01.19.33.015.094; N01.19.33.015.195; N01.19.33.015.192; N01.19.33.015.219; N01.19.33.019.126-ის ნაწილი; N01.19.33.015.194) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე "შშრალი პორტი"-ს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032334954-03-15.12.2023)
18.	„ქალაქ თბილისში, ნავთლუღის ქუჩა №8-ში (ნაკვ. 23/010); (ნაკვ. 23/011); (ნაკვ. 23/012) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.12.023.070; N01.17.12.027.045; N01.17.12.023.082; N01.17.12.023.083; N01.17.12.023.075; N01.17.12.023.077; N01.17.12.023.078; N01.17.12.023.074; N01.17.12.023.073; N01.17.12.023.079; N01.17.12.023.076) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 ივნისის N308 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032334953-03-15.12.2023)
19.	ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ქერჩის ქ. N6-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 დეკემბრის N484 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს № 12-032334966-03 -15.12.2023)
20.	ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.02.06.623) სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს № 12-032334951-03 -15.12.2023)
21.	ქალაქ თბილისში, სოფელ წავეისში, ვახტანგ თედიაშვილის ქუჩა, N9ბ; N9ა; N9; ქალაქი თბილისი, სოფელ წავეისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.21.498; N81.02.21.497; N81.02.21.499; N81.02.01.360; N81.02.01.381-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს № 12-032334949-03 -15.12.2023)

22.	<p>ქალაქ თბილისში, კუს ტბაზე; ქალაქი თბილისი, კუს ტბის ასასვლელის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, კუს ტბაზე (ნაკვეთი N003/071), (ნაკვეთი N003/072), (ნაკვ.3/51), (ნაკვ.014/005), (ნაკვ.014/004), (ნაკვეთი 01/004); (ნაკვეთი 01/007); (ნაკვ.3/50); (ნაკვეთი N003/072) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.12.001.004; N01.14.12.001.002; N01.14.12.001.003; N01.14.12.001.005; N01.14.12.001.007; N01.14.12.001.011; N01.14.12.003.050; N01.14.12.001.012; N01.14.12.001.014; N01.14.12.003.051; N01.14.12.003.071; N01.14.12.003.100; N01.14.12.003.179; N01.14.12.003.102; N01.14.12.003.109; N01.14.12.003.103; N01.14.12.003.163; N01.14.12.003.165; N01.14.12.003.168; N01.14.12.003.171; N01.14.13.013.001; N01.14.13.013.003; N01.14.13.014.007-ის ნაწილი; N01.14.13.013.009; N01.14.13.014.001; N01.14.12.003.166; N01.14.13.014.005; N01.14.13.014.008; N01.14.13.014.004) აღდგენა-რეკონსტრუქცია-ადაპტაციის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს № 12-032334936-03 - 15.12.2023)</p>
23.	<p>შპს „იქსორი წერეთელზე 2“-ის (ს/ნ 405408820) მიმართ მისამართებზე - ქ. თბილისი, ბათუმის ქ. N11, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N19-21 (საკადასტრო კოდი: 01.13.07.008.003) და ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N23-25 (საკადასტრო კოდი: 01.13.07.008.002) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის მზარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს № 12-032334844-03- 14.12.2023)</p>

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა დღის წესრიგი.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ* ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (საკრებულოს №12-032334971-03- 15.12.2023)

პროექტი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს გადასახდელის ნაწილში არსებული რესურსების გადანაწილების ხარჯზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი საქალაქო სამსახურის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებების გათვალისწინებით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა დარჩება უცვლელი და შეადგენს 1 826 328,8 ათას ლარს. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის: იზრდება გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი 01 01 12) ქვეპროგრამის ასიგნებები - 20,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება

საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) – 30,0 ათასი ლარით, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) – 29 962,1 ათასი ლარით, ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07) პროგრამის ასიგნებები - 6 442,7 ათასი ლარით, კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 700,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) – 40,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) – 322,5 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) – 12,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 16 16) - 1,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) - 67,9 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) - 180,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 18 16) - 128,7 ათასი ლარით, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) - 50,0 ათასი ლარით, ქ.თბილისის საკრებულო (კოდი 10 01) პროგრამის ასიგნებები - 600,0 ათასი ლარით, სარეზერვო ფონდი (კოდი 10 21) - 300,0 ათასი ლარით. მცირდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 13 497,9 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი 01 01 13) – 300,0 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - 3 946,7 ათასი ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენარეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნებები - 6 608,9 ათასი ლარით, საპროექტო-სამიშრო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 290,3 ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) პროგრამის ასიგნებები - 1 388,6 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) – 196,3 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) – 298,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) – 40,3 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 02 09 14) – 20,0 ათასი ლარით, ავარიული სახლების ჩანაცვლება (კოდი 02 12) პროგრამის ასიგნებები - 804,2 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) - 2 100,0 ათასი ლარით, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) - 200,0 ათასი ლარით, შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა (კოდი 04 07 02) ქვეპროგრამის ასიგნებები - 10,0 ათასი ლარით, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) პროგრამის ასიგნებები - 205,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) ქვეპროგრამის ასიგნებები - 67,9 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) - 19,4 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) - 118,2 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში (კოდი 05 01 14) - 180,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15) - 22,5 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) - 18,5 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) - 182,3 ათასი ლარით, უფასო სასააღილოებით მომსახურება მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 14 15) - 159,9 ათასი ლარით, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 15 16) - 2,8 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06

02 18 10) - 39,1 ათასი ლარით, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 02) პროგრამის ასიგნებები - 50,0 ათასი ლარით, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) ქვეპროგრამის ასიგნებები - 6 605,5 ათასი ლარით, მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10 02) პროგრამის ასიგნებები - 1 359,1 ათასი ლარით, გლდანის რაიონის გამგეობა (კოდი 10 27) - 113,5 ათასი ლარით, კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 35) - 12,0 ათასი ლარით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 688 534,6 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 137 794,2 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 628 434,6 ათასი ლარის ოდენობით, აქედან: გადასახადები 884 569,6 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) - 208 000,0 ათასი ლარი; ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) - 26 000,0 ათასი ლარი; მიწაზე ქონების გადასახადი - 16 000,0 ათასი ლარი; დამატებული ღირებულების გადასახადი - 634 569,6 ათასი ლარი. გრანტები 456 112,8 ათასი ლარი, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 557,8 ათასი ლარი; მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსაზღვრის შემთხვევაში 555,0 ათასი ლარი; კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი 440 000,0 ათასი ლარი; სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 15 000,0 ათასი ლარი. სხვა შემოსავლები 287 752,2 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი საკუთრებიდან - 20 743,9 ათასი ლარი; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 60 000,0 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 65 000,0 ათასი ლარი; სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 111 747,7 ათასი ლარი; მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის - 3 700,0 ათასი ლარი; სანებართვო მოსაკრებელი - 18 095,0 ათასი ლარი; სხვადასხვა შემოსავლები - 8 465,6 ათასი ლარი. წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 826 328,8 ათასი ლარით, მათ შორის: ხარჯები განსაზღვრულია - 1 384 362,7 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა - 413 452,7 ათასი ლარი; ვალდებულებების კლება - 28 513,4 ათასი ლარი ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 244 071,9 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 353 452,8 ათას ლარს, მათ შორის: არაფინანსური აქტივების ზრდა - 413 452,8 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების კლება - 60 000,0 ათასი ლარი ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს (137 894,2) ათას ლარს, მათ შორის: ფინანსური აქტივების კლება - 137 894,2 ათასი ლარი, მათ შორის: ნაშთის ცვლილება - 137 794,2 ათასი ლარი ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (28 513,4) ათას ლარს, მათ შორის: ვალდებულებების კლება 28 513,4 ათასი ლარი. ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა (109 380,8) ათასი ლარით.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს ნინო წულაძემ, საბა ბუაძემ და ანა გოგოლაძემ, ხოლო უარყოფითი შეფასება მისცა ლილე ლიპარტელიანმა.

შესამაშისად, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

2. "კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნიკო მუსხელიშვილის ქუჩა N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი:

N01.17.10.001.188, ფართობი - 1 518 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" (საკრებულოს №12-032334890-03- 14.12.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ბაგაშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2023 წლის 20 ოქტომბრის N01232932339-67 (01233172050-67, 13.11.2023) განცხადებით დაინტერესებულმა პირმა N01.17.10.001.188 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=3.3), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. N01.17.10.001.188 საკადასტრო ერთეულზე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 1 ნოემბრის N6187495 ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 10 ოქტომბრის N801.012228313 ბრძანებით დადგენილია ინდივიდუალური პარამეტრები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისთვის. დაინტერესებული პირის მიერ, ხელშეწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.3-მდე, რაც ითვალისწინებს საპროექტო მიწის ნაკვეთზე 9 სართულიანი შენობა - ნაგებობის განთავსებას, ასევე მოთხოვნილია დამატებულ მოცულობაზე, სიმაღლის ნაწილში პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. N01232932339-67 (01233172050-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, ასევე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N002949823, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2023 წლის 2 მაისის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 1 007 047 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრა. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა 322,255.04 (სამას ოცდაორი ათას ორას ორმოცდათხუთმეტი და ოთხი მეასედი) ლარით.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს ნინო წულაძემ, საბა ბუაძემ და ანა გოგოლაძემ, ხოლო უარყოფითი შეფასება მისცა ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

3. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N63-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.20.004.032, ფართობი - 867 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" (საკრებულოს №12-032334891-03- 14.12.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ბაგაშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2023 წლის 23 ოქტომბრის N01232963325-67 (01233261580-67, 22.11.2023) განცხადებით დაინტერესებულმა პირმა N01.19.20.004.032 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2-5.4), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. N01.19.20.004.032 „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ვრცელდება საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 25 სექტემბრის N4685488 ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. იმავე სამსახურის N4854032 ბრძანებით შეთანხმებულია მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი (კ-2=4.4) განმცხადებლის მიერ, ხელშეწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.4-დან კ-2=5.4-მდე, რაც ითვალისწინებს საპროექტო მიწის ნაკვეთზე 11 სართულიანი შენობა - ნაგებობის განთავსებას. ასევე, მოთხოვნილია, დამატებულ მოცულობაზე, სიმაღლის ნაწილში კორექტირებული პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. N01232963325-67 (01233261580-67) განცხადებაზე წარმოდგენილია სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N008188523, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2023 წლის 15 ნოემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 1 174 305 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრა. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების

შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 266,887.50 (ორას სამოცდაექვსი ათას რვაას ოთხმოცდაშვიდი და ორმოცდაათი მეასედი) ლარით.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავებს ნინო წულაძემ, საბა ბუაძემ და ანა გოგოლაძემ, ხოლო უარყოფითი შეფასება მისცა ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

4. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ე. ბეჟანიშვილის ქუჩა N13-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.12.12.005.015, ფართობი - 896 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-03233208-03-16.11.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ბაგაშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2023 წლის 22 სექტემბრის N01232653320-67 (01232821345-67, 01232852898-67, 01233071288-67) განცხადებით დაინტერესებულმა პირმა ქალაქ თბილისში, ე. ბეჟანიშვილის ქუჩა N13-ში მდებარე მიწის ნაკვეთის N01.12.12.005.015 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=6.1) გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. N01.12.12.005.015 საკადასტრო ერთეულზე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ვრცელდება საცხოვრებელი ზონა (სზ). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 10 მაისის N6451433 ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) პარამეტრებით. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) არის მაღალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, საცხოვრებელ ზონა 6-ში (სზ-6) განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ამ წესების დანართი-1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით

დაშვებული სახეობები და დადგენილია განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი: $\kappa-1=0,5$ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი: $\kappa-2=2,5$ მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი: $\kappa-3=0,3$ მინიმალური ფართობი 600 / 700 * კვ.მ. მინიმალური სიგანე 15 / 20 * მ. მინიმალური სიღრმე 25 / 30 * მ. შენიშვნა * მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის. დაინტერესებული პირის მიერ, ხელშეწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ($\kappa-2$) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება $\kappa-2=2,5$ -დან $\kappa-2=6,1$ -მდე, ასევე დამატებულ მოცულობაზე, სიმაღლის ნაწილში პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. N01232653320-67 (01232821345-67, 01232852898-67, 01233071288-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, ასევე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N006248923, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2023 წლის 4 სექტემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 1 025 550 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრა. ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის ოდენობა განისაზღვროს შემდეგი პრინციპით და საანგარიშო ფორმულით: $L X = (K2 1 - K2) S K2$ სადაც: ა) X არის ბიუჯეტში გადასახდელი ფასის ოდენობა; ბ) L არის 1კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასი; გ) K2 არის მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი; დ) K2 1 არის მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი; ე) S არის სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართობი. ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ე. ბეჟანიშვილის N14-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.12.12.005.015, ფართობი - 896 კვ.მ) მიმართებით, განისაზღვროს შემდეგი ხელშეწყობი ღონისძიებები: ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ($\kappa-2$) გადამეტება $\kappa-2=2,5$ დან $\kappa-2=6,1$ მდე; ბ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განსაზღვრული რეგულაციების გათვალისწინების გარეშე. 2. დაინტერესებულმა პირმა ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 1,476,792.00 (ერთი მილიონ ოთხას სამოცდათექვსმეტი ათას შვიდას ოთხმოცდათორმეტი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე, შემოსულობების N300073297 საბაზინო კოდეზე. 3. დაინტერესებულმა პირმა ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშეწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა. 4. ამ განკარგულების მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების დადგენილ

ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშეწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს ნინო წულაძემ, საბა ბუაძემ და ანა გოგოლაძემ, ხოლო უარყოფითი შეფასება მისცა ლილე ლიპარტელიანმა.

შესამამისად, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

5. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032332829-03- 24.11.2023; 12-032334172-03-07.12.2023; 12-03233482-03- 14.12.2023; 12-032334913-03-15.12.2023)

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის წერილებით (საკრებულოს №12-032332829-03- 24.11.2023; 12-032334172-03-07.12.2023; 12-03233482-03- 14.12.2023; 12-032334913-03-15.12.2023) წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საკითხი წარმოადგინეს ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის შოადგილე ნინო ბაგაშვილმა. წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკასა (ა პუნქტით დამტკიცებული) მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 25 წინადადება კერძოდ:

№12-032332829-03- 24.11.2023;

ა) ქალაქ თბილისში, დიდი დიდშის დასახლება, მიკრო/რაიონი II, კორპუსი N 27ა-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.352) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტლური) გამწვანების მოხსნა. N01.10.06.006.352 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს კოოპერატიული ზინათმშენებლობის დაუმთავრებლობით დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილებისთვის საცხოვრებელი შენობა-ნაგებობის მშენებლობა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 17 ნოემბრის N01233212898 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა. *სხდომაზე გამოითქვა მოსაზრება, მითითებული ზონის ცვლილება ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის გათვალისწინებით გადადებული იქნა.*

ბ) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ. ნუშის ბაღების ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.20.01.010.454) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი

ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა. N01.20.01.010.454 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მომიჯნავე რეგისტრაციების მსგავსად ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 14 ნოემბრის N01233183606 წერილით თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ. ნუშის ბაღების ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.20.01.010.454) ნაწილზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ბაქტერიოგრაფის ღობესა და საპროექტო გზას შორის არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.016.168) ნაწილზე მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა. N01.10.13.016.168 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მრავალფუნქციური შენობის (კლინიკა და სასწავლო დაწესებულება) განთავსება. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.016.168) უმეტეს ნაწილზე ძირითადი რუკის ზონირებით გავრცელებულია სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1), ხოლო მცირე ნაწილზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ). ქალაქგვგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილია აღნიშნული მიწის ნაკვეთის ერთი ფუნქციური ზონით განვითარება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 14 ნოემბრის N01233182002 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ბაქტერიოგრაფის ღობესა და საპროექტო გზას შორის არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.016.168) ნაწილზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, გობიაშვილის ქუჩა, I შესახვევი, N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.10.022.239) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება. N01.10.10.022.239 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს რეგისტრაციის საზღვრების კორექტირება ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისად. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 11 ივლისის N0123192160 (0123291901, 18/10/2023) წერილის მიხედვით, საპროექტო მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ღობის ნაწილზე. შესაბამისად, აღნიშნულ მონაკვეთზე სატრანსპორტო ქვეზონას ფაქტობრივად არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. ამასთან, მოთხოვნილი კონფიგურაციით სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) პარამეტრის

(სიგანე) შემცირება არ მოახდენს არსებითად უარყოფით გავლენას განსახილველ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სამომავლო განვითარების კუთხით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გოძიაშვილის ქუჩა, I შესახვევი, N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.10.022.239) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, ჩარგლის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.12.04.001.077) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონითა (სზ) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად N01.12.04.001.077 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა (სზ), ხოლო მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები დადგენილი ქონდა საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) პარამეტრებითა და პირობებით. N01.12.04.001.077 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავცელება არ არის რელევანტური მიმდებარე განაშენიანებისთვის ვინაიდან, იგი ვერ იქნება მისასვლელ გზად გამოყენებული N01.12.04.001.210 რეგისტრაციისთვის, რადგან მას უკვე აქვს მისასვლელი ჩრდილოდასავლეთით, რომელზეც გავრცელებულია სერვიტუტი. დაინტერესებაში არსებულ N01.12.04.001.077 რეგისტრაციამდე მისასვლელ გზას წარმოადგენს გურამ ქუთათელაძის II შესახვევი, რომელზეც კანონმდებლობის შესაბამისად გავრცელებულია სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ). N01.12.04.001.077 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი ზონის (სზ) გავრცელების შემთხვევაში ფაქტობრივად არსებულ სატრანსპორტო ზონა 1-სა (ტზ-1) და საპროექტო ტერიტორიას შორის ხარვეზის სახით რჩება სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ჩარგლის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.04.001.077) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონითა (სზ) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია;

(საკადასტრო კოდები: N01.10.10.022.331). საპროექტო ტერიტორიის ფართობია 6 402 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3), ხოლო, გამწვანებული ტერიტორიების ფენით უმეტეს ნაწილზე შემოთავაზებულია სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), მცირე ნაწილზე - ურბანული გამწვანება (შიდა კვარტალური). ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების მიხედვით ტერიტორია განთავსებულია პერიფერიულ ზონაში (პზ). საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირი, N32გ; ვაშლიჯვრის დასახლება, გელოვანის ქუჩა N6 და N6-ის მიმდებარედ; გელოვანის ქუჩა N6, ნაკვეთი N01.10.10.022.019-ის მიმდებარედ; ვაშლიჯვრის დასახლება, ნაკვეთი N002/009-ის მიმდებარედ; ციალა გაბაშვილის ქუჩა N10-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი მარშალ გელოვანის გამზირი N6; N6-ის მიმდებარედ (ნაკვეთი N2072) არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.10.10.022.331; N01.10.10.022.336-ის ნაწილი; N 01.10.10.022.116) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ნოემბრის N589 გაკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირები გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი. N01232751013-67 (N01232841470-67; N0123305827-67; N0123319821-67) განცხადებაზე წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მიხედვით, იგეგმება მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.10.022.331) 2 ნაწილად გამოკვანა, კერძოდ, I ნაკვეთი (6 040 კვ.მ.) განვითარდება საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) და მასზე განთავსდება 3 შეჯგუფებული შენობა (მრავალბინიანი საცხოვრებელი - 75%; კომერციული, ოფისი - 25%), ხოლო, ნაკვეთი II (362 კვ.მ-საპროექტო გზა) განვითარდება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1). მიწის ნაკვეთის ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: საპროექტო არეალის ფართობია 6 402 კვ.მ. მიწის ნაკვეთების რაოდენობა - 2 სამშენებლო მიწის ნაკვეთების რაოდენობა - 1 (I ნაკვეთი - 6 040 კვ.მ - სზ-6). არასამშენებლო მიწის ნაკვეთების რაოდენობა - 1 (II ნაკვეთი - 362 კვ.მ - ტზ-1). არსებული ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3), გამწვანებული ტერიტორიების ფენით უმეტეს ნაწილზე - სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), მცირე ნაწილზე - ურბანული გამწვანება (შიდა კვარტალური). საპროექტო ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) - 6 040 კვ.მ. კ-1=0,5; კ-2=2,5; კ-3=0,3 სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) - 362 კვ.მ. კ-1=-; კ-2=-; კ-3=0,1 შენობა-ნაგებობების რაოდენობა - 3 შეჯგუფებული შენობა. შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სართულიანობა/სიმაღლე - 16 სართული /50 მეტრი. ავტოსადგომების რაოდენობა განსაზღვრულ იქნეს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 17 ნოემბრის N01233213574 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 14 ნოემბრის N01233181867 წერილის შესაბამისად, სააგენტო, არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს ნინო წულაძემ, საბა ზუაძემ და ანა გოგოლაძემ, ხოლო უარყოფითი შეფასება მისცა ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

9. ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.02.11.765) სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე" (საკრებულოს №12-032334912-03-15.12.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიმემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელი წაგვისი, მარიჯანის ქუჩა, N26-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდები: №81.02.12.996). საპროექტო ტერიტორიის ფართობი: 200 005 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება ზონა სარეკრაციო ზონა (რზ): ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით - ზოგადი სარეკრაციო ზონა (რზ), ტერიტორიის განვითარება იგეგმება სარეკრაციო ზონა 3 (რზ-3), სარეკრაციო ზონა 1 (რზ-1) , სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ით, რაზეც მოეწეობა სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი უბანი; შენობის სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობი 200 005 კვ.მ. სულ მიწის ნაკვეთების რაოდენობა (საპროექტო-სავარაუდო) -144; სამოსახლო მიწის ნაკვეთების რაოდენობა (საპროექტო-სავარაუდო) -141; 2 ნაკვეთი სარეკრაციო სივრცე (სკვერი) 26 000 კვ.მ 1 ნაკვეთი სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) 24 616 კვ.მ განაშენიანების მაქსიმალური ფართობი კ-1 = 0.3 განაშენიანების მაქსიმალური ინტენსივობა - კ2=1,0 გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ3-0.6 სამშენებლო ნაკვეთების რაოდენობა - 141 შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლე - 12მ. შენობა-ნაგებობების მინ. და მაქს. სართულიანობა - 1-3 საპროექტო ფუნქციური ზონირება - სარეკრაციო ზონა 3 (რზ-3); სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); სარეკრაციო ზონა 1 (რზ-1) რზ-3 კ1-0.3, კ2-1.0 , კ3-0.6; ტზ-1 კ1-, კ2-, კ3-0.1; რზ-1 კ1-0.2, კ2-, კ3-0.8; განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილ იქნეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სკრინინგის პროცედურის პოზიცია, რის საფუძველზეც დადგენილ იქნება გზშ-ს დოკუმენტის აუცილებლობა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 30 ნოემბრის N0123334131 წერილის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 26 სექტემბრის N0123269812 წერილის შესაბამისად, სამსახური

კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს ნინო წულაძემ, საბა ბუაძემ და ანა გოგოლაძემ, ხოლო უარყოფითი შეფასება მისცა ლილე ლიპარტელიანმა.

შესამამისად, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

10. ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N72.16.21.665; N72.16.17.654; N72.16.21.662; N72.16.21.023; N72.16.21.024; N72.16.21.663; N72.16.21.664; N72.16.17.655; N01.72.16.096.002) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032334934-03- 15.12.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.21.665; N72.16.17.654; N72.16.21.662; N72.16.21.023; N72.16.21.024; N72.16.21.663; N72.16.21.664; N72.16.17.655; N01.72.16.096.002) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. საპროექტო არეალის ჯამური ფართობი შეადგენს 28 673 კვ.მ-ს. აქედან, 8 ნაკვეთი კერძო საკუთრებაშია - 28 030 კვ.მ, ერთი ნაკვეთი სს „თელასი“-ს საკუთრებაშია ფართობით - 25 კვ.მ, ხოლო, დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ფართობია - 618 კვ.მ. მიმდებარე ტერიტორია ნაწილობრივ განაშენიანებულია. საპროექტო არეალს აღმოსავლეთ მხარეს გრუნტის გზით უკავშირდება ლეო კვაჭაძის ქუჩას. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება ზოგადი სარეკრეაციო ზონა (რზ), მცირე ნაწილზე - სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით - ზოგადი სარეკრეაციო ზონა (რზ) და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს N385 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. შემოთავაზებული წინადადებით გათვალისწინებულია დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი უბნის დაგეგმარება. საპროექტო ტერიტორიის გამოჯვანა დაგეგმილია 29 ნაწილად. აქედან 24 ნაკვეთზე განთავსდება ერთბინიანი სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლი. საპროექტო არეალიდან დაგეგმილია მდინარის წყალდაცვით ზონაში ორი მიწის ნაკვეთის (N27, N28 - ფართობით 161 კვ.მ) გამოიყოფა თვითმმართველი ერთეულისთვის გადასაცემად, რომელზეც გავრცელდება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1). ასევე, დაგეგმილია სს „თელასი“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის N25 (ს/კ N72.16.21.024 ფართობით - 25კვ.მ) ადგილმონაცვლეობა და მასზე 10-0,4კვ სატრანსფორმატორო ქვესადგურის #3634 და 10-0,4 კვ. საკაბელო ქსელის გადატანა. (წერილი N0605/240/23 - 05/06/2023წ). ასევე, უქმდება საპროექტო მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.72.16.096.002) რეგისტრირებული სერვიტუტი

(263კვ.მ). კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებიდან საგზაო ინფრასტრუქტურისთვის გამოიყოფა ნაკვეთი N26 - ფართობით 2706 კვ.მ და დაურეგისტრირებელი ტერიტორია სრულად იქნება გამოყენებული გზისთვის. ნაკვეთი N29-ზე ფართობით 618 კვ.მ. გავრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). მიწის ნაკვეთის ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: საპროექტო არეალის საერთო ფართობი: 28 673 კვ.მ. საპროექტო მიწის ნაკვეთის რაოდენობა - 29 ნაკვეთი, აქედან 24 კერძო ნაკვეთი; 1 სს „თელასი“; 2 საგზაო ინფრასტრუქტურისთვის განკუთვნილი ნაკვეთი; მდინარის წყალდაცვით ზონაში არსებული 2 ნაკვეთი (თვითმმართველი ერთეულისთვის გადასაცემი). შენობების რაოდენობა - 24 შენობა. სართულების მაქსიმალური რაოდენობა - 3 სართ. შენობის მაქსიმალური სიმაღლე 12 მეტრი. სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) - ფართობი: 25 188კვ.მ; (ნაკვეთი N1-N25) კ-1 = 0,3 (7548,9კვ.მ) კ-2 = 1,0 (25 163კვ.მ) კ-3 = 0,6 (15430,2კვ.მ) სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) - ფართობი: 3324 კვ.მ; აქედან დაურეგისტრირებელი ტერიტორია - 618 კვ.მ; (ნაკვეთი N26-N29) კ-1 = - ; კ-2 = - ; კ-3 = 0,1 სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) - ფართობი: 161 კვ.მ; (ნაკვეთი N27-N28) კ-1 = 0,2; კ-2 = - ; კ-3 = 0,8 არსებული ფუნქციური ზონირება - ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ზოგადი სარეკრეაციო ზონა (რზ), ხოლო მცირე ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), გამწვანებული ტერიტორიების ფენით, შემოთავაზებული - ზოგადი სარეკრეაციო (რზ) და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2); საპროექტო ფუნქციური ზონირება - სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3); სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1); სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ვინაიდან, საპროექტო არეალი მდებარეობს ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ქალაქგეგმარებით „A“ არეალში, გასათვალისწინებელია „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დანართი N2-ის 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ქალაქგეგმარებითი „A“ არეალისთვის განსაზღვრული განვითარების რეგლამენტი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 24 ნოემბრის N01233283361 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს სააგარკე-დასაცემი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, 2023 წლის 27 ნოემბრის N01233312182 წერილის შესაბამისად, სააგენტო, არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს ნინო წულაძემ, საბა ბუაძემ და ანა ვოგოლაძემ, ხოლო უარყოფითი შეფასება მისცა ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მუდრეგულირების კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

11. „ქალაქ თბილისში, სოფელი ტაბახმელა; ქალაქი თბილისი, სოფელი ტაბახმელა, თბილისი-კოჯორის გზატკეცილი N129, N131, N133-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.02.03.583; N81.02.03.578; N81.02.03.577; N81.02.03.582; N81.02.03.575; N81.02.03.943) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური

ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" (საკრებულოს №12-032334935-03- 15.12.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ტაბახმელა, სოფელი ტაბახმელაში თბილისიკოჯორის გზატკეცილზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.02.03.583; N81.02.03.578; N81.02.03.577; N81.02.03.582; N81.02.03.575; N81.02.03.943) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. ჯამურად: 32 093 კვ.მ. რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ფართობი: 28 100 კვ.მ. დაურეგისტრირებელი - 3993 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და მცირედზე სარეკრეაციო ზონა (რზ-1); ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 სექტემბრის N486 განკარგულებით საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. დანიშნულების მიხედვით ტერიტორია განვითარდება მოქმედი საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1)-ით და სატრანსპორტო ზონა 1 (სზ-1)-ით. გამოიყოფა 38 საპროექტო მიწის ნაკვეთი, საიდანაც 35-ზე გათვალისწინებულია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, 2 ნაკვეთი დათმობილია სავტომობილო ინფრასტრუქტურისთვის, ხოლო ერთი - სკვერისთვის (612 კვ.მ), რომელიც განვითარდება სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1). შენობის სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: მიწის ნაკვეთის ჯამური ფართობი: 32, 094 კვ.მ. კერძო საკუთრება: 28 100 კვ.მ დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთი: 3 993 კვ.მ საპროექტო გამოყენის რაოდენობა: 38 საპროექტო შენობების რაოდენობა: 35 საცხოვრებელი ნაკვეთის ფართი 22 651 კვ.მ. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისთვის: 8 831 კვ.მ სკვერი რზ-1: 612 კვ.მ განაშენიანების კოეფიციენტი: კ-1=0,5 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი: კ-2=0,8; მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ-3=0,4; შენობა-ნაგებობა არაუმეტეს 3 სართული.; 12 მ. არსებული ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1); სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1); სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 28 ნოემბრის N01233323317 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 1 დეკემბრის N0123335907 წერილის შესაბამისად, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს ნინო წულაძემ, საბა ბუაძემ და ანა გოგოლაძემ, ხოლო უარყოფითი შეფასება მისცა ლილე ლიპარტელიანმა.

შესამასისად, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

12. ქალაქ თბილისში, მეტროსადგურ „ვარკეთილის“ მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.36.003.109) სავაჭრო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის N281 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032334937-03-15.12.2023)

საკითხი წარმოდგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, აეროდრომის დასახლება, I ქუჩა N33; ქალაქი თბილისი, მეტრო/სადგური „ვარკეთილის“ მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.36.003.103; N01.19.36.003.109). საპროექტო არეალის ფართობი: 8316 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) და საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). „ქალაქ თბილისში, მეტროსადგურ „ვარკეთილის“ მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.36.003.109) სავაჭრო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის N281 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. საპროექტო არეალი მოიცავდა 8114 კვ.მ.-ს. წარმოდგენილი კორექტირებით, ტერიტორიას ემატება ახალი N01.19.36.003.103 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი (202 კვ.მ.), შესაბამისად, იცვლება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით განსაზღვრული არეალი და ხდება 8316 კვ.მ. არსებული ფუნქციური ზონა: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) დამტკიცებული საპროექტო ფუნქციური ზონა: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) – 8114 კვ.მ. $k_1=0.5$ დაახლოებით 4 100 კვ.მ; $k_2=2.5$; დაახლოებით 20 500 კვ.მ; $k_3=0.2$; დაახლოებით 1 217 კვ.მ. კორექტირებული საპროექტო ფუნქციური ზონა: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) – 8316 კვ.მ $k_1=0.6$ (4 614 კვ.მ); $k_2=2.1$ (17 161 კვ.მ); $k_3=0.2$ (1 670 კვ.მ). საპროექტო ნაკვეთი და საპროექტო შენობა: 1 შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე/სართულიანობა- 25.14მ საზოგადოებრივ-საქმიანი ფუნქცია- 100% შეთანხმებული პროექტი (+4 კომერციული ფართი) შეთანხმებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტს ემატება ერთი მიწისქვეშა სართული, რის ხარჯზე დამტკიცებული პროექტით არსებული პარკინგი (ქვედა ქუჩის მხრიდან პირველი მიწისზედა სართული) გეგმარდება კომერციული დატვირთვით. ხოლო დაგეგმილი ორსართულიანი პარკინგის დონე ჩაიწვეს ერთი სართულით დაბლა (-2) და (- 3) სართულის დონეზე. კონსტრუქციული სართულიანობა - 7; ცვლილების ინტენსივობიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიციას არ საჭიროებს.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავებს ნინო წულაძემ, საბა ბუაძემ და ანა გოგოლაძემ, ხოლო უარყოფითი შეფასება მისცა ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

13. „ქალაქ თბილისში, დიდმის სასწ. საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.556) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032334940-03- 15.12.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, დიდმის სასწ. საცდელი მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.556). საპროექტო ტერიტორიის ფართობია: 19 069 კვ.მ. „ქ. თბილისში დიდმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.511; N01.72.14.009.510; N01.72.14.009.507; N01.72.14.009.506; N01.72.14.009.495; N01.72.14.009.496; N01.72.14.009.556) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 ივლისის N164 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. წარმოდგენილი პროექტით ხდება განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საფუძველზე, მე-2 ეტაპის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმება. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ). შემოთავაზებული წინადადებით იგეგმება მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.72.14.009.556) 2 ნაკვეთად გაყოფა. სართულიანობა: 11 სართული; საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელდება ფუნქციური ზონა საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). შენობის სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: არეალის ფართობი: 19069 კვ.მ. განაშენიანების საერთო კოეფიციენტი - კ-1= 0.3 (6 500 კვ.მ) განაშენიანების საერთო ინტენსივობის კოეფიციენტი - კ-2= 2.1 (40 850 კვ.მ) გამწვანების საერთო კოეფიციენტი - კ-3=0.3 (5 725 კვ.მ); შენობის რაოდენობა - 3 (7 ბლოკი); სართულიანობის რაოდენობა - 11 არსებული ფუნქციური ზონირება - ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ). საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) , სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). შენიშვნა: განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შემდგომ, წყალარინებისა და წყალმომარაგების სისტემის მოწყობა და უფლებამოსილი ლიცენზიანტის მიერ ექსპლუატაციაში მიღება უნდა განხორციელდეს პირველ ეტაპად, მშენებლობის ნებართვების გაცემამდე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 4 დეკემბრის N01233384471 წერილის შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო

სამსახურის 2023 წლის 5 დეკემბრის N0123339671 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავებს ნინო წულაძემ, საბა ბუაძემ და ანა გოგოლაძემ, ხოლო უარყოფითი შეფასება მისცა ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მუნიციპალიტეტის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

14. „ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისზე; ქალაქ თბილისში, ლეო კვაჭაძის I ჩიხი, N4ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.21.856, N72.16.21.903, N72.16.21.035, N72.16.21.904, N72.16.21.897, N72.16.21.896, N72.16.21.002, N72.16.21.001, N72.16.21.857) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 ნოემბრის N569 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032334939-03-15.12.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისზე; ქალაქ თბილისში, ლეო კვაჭაძის I ჩიხი, N4ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.21.856, N72.16.21.903, N72.16.21.035, N72.16.21.904, N72.16.21.897, N72.16.21.896, N72.16.21.002, N72.16.21.001, N72.16.21.857) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობია 50 780 კვ.მ. აქედან, რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების საერთო ფართობია 43 050 კვ.მ, ხოლო, დაურეგისტრირებელი ტერიტორიის - 7 730 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სასოფლო სამეურნეო ზონა (სოფზ), მცირედ ნაწილზე - ზოგადი სარეკრაციო ზონა (რზ) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ასევე, გამწვანებული ტერიტორიების ფენით ტერიტორიის ნაწილზე შემოთავაზებული - ზოგადი სარეკრაციო ზონა (რზ). საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.21.856, N72.16.21.903, N72.16.21.035, N72.16.21.904, N72.16.21.897, N72.16.21.896, N72.16.21.002, N72.16.21.857, N72.16.21.001) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 ივნისის N313 განკარგულებით დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 ნოემბრის N569 განკარგულებით განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება გულისხმობს მხოლოდ შეთანხმებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის A1 მიწის ნაკვეთის ორ ტოლ ნაწილად გაყოფას (A1 და A2). შესაბამისად, ტერიტორია გაიყოფა 41-ის მაგივრად 42 ნაკვეთად. მიწის ნაკვეთის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები: საპროექტო არეალის ფართობი - 50 780 კვ.მ; რეგისტრირებული - 43 050 კვ.მ; დაურეგისტრირებული - 7730 კვ.მ. მიწის ნაკვეთების რაოდენობა - 42; სამშენებლო მიწის ნაკვეთების რაოდენობა - 40; სატრანსპორტო მიწის ნაკვეთი - 8883 (R2); სკვერი - 1036 (R1); შენობების რაოდენობა - 40 ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი; შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სართულიანობა/სიმაღლე - 3 სართული /12 მეტრი. დამტკიცებული ზონირება: სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2); სატრანსპორტო ზონა (ტზ-1) საპროექტო ფუნქციური ზონირება: სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2); კ1=0,2; კ2 =0,7; კ3=0,8; სატრანსპორტო ზონა (ტზ-1) კ1=-, კ2 =-, კ3=0,1; ცვლილების ინტენსივობიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიციას არ საჭიროებს.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს ნინო წულაძემ, საბა ბუაძემ და ანა გოგოლაძემ, ხოლო უარყოფითი შეფასება მისცა ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მუშაობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

15. ქალაქ თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, მე-13 კმ-ზე (ნაკვ.14/579); ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.72.14.014.835; №01.72.14.014.843; №01.72.14.014.579; №01.72.14.014.380) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს №389 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" (საკრებულოს №12-032334938-03-15.12.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, მე-13 კმ-ზე (ნაკვ.14/579); ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.72.14.014.835; №01.72.14.014.843; №01.72.14.014.579; №01.72.14.014.380). საპროექტო ტერიტორიის ფართობი: 5496 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). საპროექტო ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმა დამტკიცებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს №389 განკარგულებით, ხოლო კორექტირება განხორციელებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N527 განკარგულებით. წარმოდგენილი კორექტირებით იცვლება მხოლოდ დადგენილი პროცენტული განაწილება. 25%- საცხოვრებელი და 75% - საზოგადოებრივის

ნაცვლად, დგინდება 90%-საცხოვრებელი და 10% - საზოგადოებრივი. განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი სხვა პარამეტრები რჩება უცვლელი. სსზ-2-ში რეგლამენტით განსაზღვრული დასაშვები საცხოვრებელი ფუნქციის 25%-შეადგენს 6 375 კვ.მ.-ს; მოთხოვნილი კორექტირებით - 90% შეადგენს 22 950 კვ.მ.-ს ნამატი საცხოვრებელი ფართობი შეადგენს - 16 575 კვ.მ.-ს მაკომპენსირებელ ღონისძიებად განსაზღვრულია მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი ფართობის 4% შეადგენს 663 კვ.მ.-ს გადასაცემი ფართობის საბაზრო ღირებულების ფასის გადახდით. კ-2=4.6 - 25 500 კვ.მ. კ-3 - 0,2-დან ხდება 0,3. საპროექტო შენობა-ნაგებობებისთვის მაქსიმალურ სიმაღლედ დადგენილია 64,42მ, ხოლო სართულიანობად 18 მიწისზედა და 3 მიწისქვეშა სართული. ფუნქციური ზონირება რჩება უცვლელი. არსებული ფუნქციური ზონა: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) - 5496 კვ.მ; საპროექტო ფუნქციური ზონა: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) - 5496 კვ.მ; (სსზ-2) კ1=0,5 (2 968 კვ.მ.) კ2 =4,6 (25 500 კვ.მ.) კ3=0,3 (1 649 კვ.მ.) წარმოდგენილი ცვლილების ინტენსივობიდან გამომდინარე, აღნიშნული პროექტი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიციას არ საჭიროებს.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს ნინო წულაძემ, საბა ბუაძემ და ანა გოგოლაძემ, ხოლო უარყოფითი შეფასება მისცა ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

16. ქალაქ თბილისში, სოფელი წავეისი, მარიჯანის ქუჩა, N26-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდები: №81.02.12.996) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032334967-03-15.12.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელი წავეისი, მარიჯანის ქუჩა, N26-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდები: №81.02.12.996) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. საპროექტო ტერიტორიის ფართობი: 8 270 კვ.მ. აქედან დაურეგისტრირებელი 1 169 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ტერიტორიის გამოიჯენა იგეგმება 10 საკადასტრო ერთეულად. 7 ნაკვეთზე იგეგმება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და 3-ზე საავტომობილო გზის მოწყობა. ასევე, საპროექტოდ გათვალისწინებულია ფუნქციური ზონის ცვლილება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) იცვლება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ით. მიწის ნაკვეთის ჯამური ფართობი: 8 270 კვ.მ. კერძო საკუთრება: 7 101 კვ.მ. დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთი: 1 169 კვ.მ საპროექტო გამოიჯენის რაოდენობა: 10 საპროექტო შენობების რაოდენობა: 7 საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) ჯამური ფართი: 7 025 კვ.მ. სატრანსპორტო

ინფრასტრუქტურისთვის: 1 245 კვ.მ განაშენიანების კოეფიციენტი: $\kappa-1=0,5$ განაშენიანების ინტენსიობის კოეფიციენტი: $\kappa-2=0,8$; მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: $\kappa-3=0,4$; შენობა-ნაგებობა არაუმეტეს 3 სართული. არსებული ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2023 წლის 2 ნოემბრის N61- 01233062934 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული დაურეგისტრირებული სივრცე, მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საპროექტო არეალში, მისი გამოყენებით მოხდეს არსებული საკადასტრო ერთეულის ფართის უცვლელად კორექტირება, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) მინიჭება და ტერიტორია განვითარდეს სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2023 წლის 07 სექტემბრის N01232503304-67 ელექტრონული განაცხადით წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 7 დეკემბრის N01233412235 წერილის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 11 დეკემბრის N01233453562 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, სოფელი წაგვისი, მარიჯანის ქუჩა, N26-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდეზი: №81.02.12.996) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცება დასაშვებია. ზ) ფინანსურ-ეკონომიკური დასაბუთება: პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს ნინო წულაძემ, საბა ბუაძემ და ანა გოგოლაძემ, ხოლო უარყოფითი შეფასება მისცა ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მკურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

17. „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩაზე; ქინძმარაულის ქუჩა N37-ში; რქაწითელის ქუჩა N9, N11, N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდეზი: N01.19.33.015.120; N01.19.33.015.050; N01.19.33.015.131; N01.19.33.015.094; N01.19.33.015.195; N01.19.33.015.192; N01.19.33.015.219; N01.19.33.019.126-ის ნაწილი; N01.19.33.015.194) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე "მშრალი პორტი"-ს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" (საკრებულოს №12-032334954-03-15.12.2023)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით,

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩაზე; ქინძმარაულის ქუჩა N37- ში; რქაწითელის ქუჩა N9, N11, N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.33.015.120; N01.19.33.015.050; N01.19.33.015.131; N01.19.33.015.094; N01.19.33.015.195; N01.19.33.015.192; N01.19.33.015.219; N01.19.33.019.126-ის ნაწილი; N01.19.33.015.194) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობი შეადგენს: 199 882 კვ.მ-ს. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება უმეტეს ნაწილზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1), მცირე ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) . ასევე, გამწვანების ტერიტორიების რუკით სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება თვითმფრინავის ასაფრენი ზოლის შეზღუდვა, რომლის მიხედვით შენობა-ნაგებობების დასაშვები ზღვრული აბსოლიტური სიმაღლე, ზღვის დონიდან განსაზღვრულია 525.8 მ. საპროექტო წინადადება დამუშავებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 ივნისის N315 განკარგულებით გაცემული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესაბამისად. საპროექტო წინადადებით დაგეგმილია კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების გაერთიანება ერთ ნაკვეთად და სასაწყობე კომპლექსის განაშენიანება, ხოლო სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ნაკვეთი - ს/კ 01.19.33.015.131 დარჩება დამოუკიდებელ ნაკვეთად. ასევე, ცალკე ნაკვეთად გამოიყოფა გზა, თავისი ტროტუარებით, რომელსაც პროექტით განესაზღვრა სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) შემოთავაზებული წინადადებით გათვალისწინებულია „მშრალი პორტი“-ს დაგეგმარება, რაც გულისხმობს ფოთისა და ბათუმის საზღვაო პორტებში შემოსული ძირითადად კონტეინერიზებული ტვირთის რკინიგზით ტრანსპორტირებას თბილისის მშრალ პორტში, სადაც შესაძლებელი იქნება სხვადასხვა სატრანსპორტო ოპერაციის ერთ ადგილზე განხორციელება (დაცლა, დატვირთვა, დასაწყობება, ალტერნატიულ სატრანსპორტო საშუალებაზე გადატვირთვა, რეალიზაცია და სხვა). დაგეგმილია დაზიანებული სატვირთო რკინიგზის ჩიხის აღდგენა. ტვირთების 80% ტერმინალში შევა რკინიგზის საშუალებით, 20% ავტოტრანსპორტით, ხოლო ტერიტორიიდან ნაწილი გავა ავტოტრანსპორტით, ხოლო ნაწილი რკინიგზის საშუალებით. მიწის ნაკვეთების ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: მიწის ნაკვეთი - N1 - 195 252 კვ.მ. სამრეწველო ზონა 1 (ს-1) - 191 171 კვ.მ. კ-1= 0,4 - 76500 კვ.მ. კ-2= 0,4 - 76500 კვ.მ. კ-3= 0,1 - 19117,1 კვ.მ. სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) - 4081 კვ.მ. კ-1= 0,2 - 816 კვ.მ. კ-2= - კ-3= 0,8 - 3264,8 კვ.მ. სასაწყობე კომპლექსო მაქსიმალური სიმაღლე - 20 მეტრი სართულიანობა - 3 სართული მიწის ნაკვეთი - N2 სახელმწიფო - 45 კვ.მ. სამრეწველო ზონა 1 (ს-1) - 45 კვ.მ. კ-1= - კ-2= - კ-3= - არსებული მდგომარეობით განთავსებულია ელექტრო-ქვესადგური მიწის ნაკვეთი - N3 - 4585 კვ.მ. სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) - 4540 კვ.მ. კ-1= - კ-2= - კ-3= 0,1 - 454 კვ.მ. სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) - 45 კვ.მ. კ-1= - კ-2= - კ-3= 0,8 - 36 კვ.მ. სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „თბილისი დრაი პორტ“-ს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, (დამოწმების თარიღი 05/07/2021, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო) უნდა მოხდეს „მყიდველის“ (შპს „თბილისი დრაი პორტ“) მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 5 დეკემბრის N01233393955 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 12 დეკემბრის N01233463887 წერილის შესაბამისად, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩაზე; ქინძმარაულის ქუჩა N37-ში; რქაწითელის ქუჩა N9, N11, N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.33.015.120; N01.19.33.015.050; N01.19.33.015.131; N01.19.33.015.094; N01.19.33.015.195; N01.19.33.015.192; N01.19.33.015.219; N01.19.33.019.126-ის ნაწილი; N01.19.33.015.194) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე "შშრალი პორტი"-ს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავებს ნინო წულაძემ, საბა ბუაძემ და ანა გოგოლაძემ, ხოლო უარყოფითი შეფასება მისცა ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

18. ქალაქ თბილისში, ნავთლუღის ქუჩა №8-ში (ნაკვ. 23/010); (ნაკვ. 23/011); (ნაკვ. 23/012) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.12.023.070; N01.17.12.027.045; N01.17.12.023.082; N01.17.12.023.083; N01.17.12.023.075; N01.17.12.023.077; N01.17.12.023.078; N01.17.12.023.074; N01.17.12.023.073; N01.17.12.023.079; N01.17.12.023.076) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 ივნისის N308 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" (საკრებულოს №12-032334953-03-15.12.2023)

